

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N012/19¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თამარ პაპოშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატს სურს საოჯახო დავასთან დაკავშირებით კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე შეხვდეს და კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით წერილობითი თანხმობა მიიღოს მოწინააღმდეგე მხარისაგან, რომელიც იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში. ადვოკატს აინტერესებს შესაძლებელია, თუ არა გამოწეროს ორდერი და შევიდეს პენიტენციურ დაწესებულებაში კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან შეხვედრის მიზნით?

ანალიზი

ორდერის გამოწერის მიზანი და მისი სამართლებრივი ბუნება თავისთავად ემსახურება ორდერში მითითებული პირის ინტერესების შესაბამისად მოქმედებას. ამ შემთხვევაში ადვოკატს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე სურს ორდერის გამოწერის მეშვეობით შეხვდეს მოწინააღმდეგე მხარეს, თუმცა კლიენტის ინტერესების დაცვა ვერ იქნება აღქმული ორდერის არამიზნობრივად გამოყენების გამამართლებელ გარემოებად. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს კანონიერების პრინციპის დარღვევას.

დამატებით, შეკითხვაში აღწერილი ფაქტები წინააღმდეგობაში მოდის იმ პრინციპთან, რომლის მიხედვითაც მოწინააღმდეგე მხარესთან მისი ადვოკატის გვერდის ავლით კომუნიკაცია დაუშვებელია (აპეკი, მუხლი 10.4).

დასკვნა

ადვოკატმა ორდერის გამოწერისას კანონიერების პრინციპის დაცვით უნდა იმოქმედოს. ორდერი გამოწერილი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. ორდერის გამოწერისას ადვოკატის ქმედება უნდა შეესაბამებოდეს ორდერში მითითებული პირის და არა სხვა პირის ინტერესების დაცვას.

¹ <https://gba.ge/pdf/5dde8529a16ba.pdf/012.19%20gacemis%20tarigi%2013.02.19.pdf>